

ქ.თბილისი

2016 წლის 13 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 13 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ზ. ბაქრაძის ოქმი და განმარტებითი ბარათი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 10 სექტემბერს გაიმართა რეგიონალური ლიგის მატჩი თბ „თსუ“-სა და სტეფანწმინდის „ტორნადო“-ს შორის. მატჩის მეთვალყურის ზ. ბაქრაძის ოქმის და განმარტებითი ბარათის მიხედვით, კლუბ სტეფანწმინდის „ტორნადო“-ს მორაგბემ ირაკლი როსტომაშვილმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მატჩის მთავარ მსაჯს.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.8, 2.2.2, 3.2, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 2.2 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. კლუბ სტეფანწმინდის „ტორნადო“-ს მორაგბე ი. როსტომაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 10 (ათი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 1000 (ათასი) ლარით.
2. სადისციპლინო კომისიის მიერ შეფარდებული სადისციპლინო სანქციის ვადაში ჩაითვლება მატჩის მთავარი მსაჯის ა. პოლოსიანის მიერ მორაგბე ი. როსტომაშვილის მიმართ გამოყენებული წითელი ბარათით გათვალისწინებული დაყოვნების ვადა.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.2 პუნქტი და კლუბ სტეფანწმინდის „ტორნადო“-ს დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/